

# დ რ მ ე ბ ა

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 64.

კვირა, 21 მარტი 1910 წ.

დამატების № 12

### გაზაფხულის ნელი სიო

მოხტის წყარო და თან მღერის:  
„მთის შვილი ვარ უდარდელი;  
ბარად მე ვზრდი ნორჩ ყვავილებს  
და თვითვე ვარ მათი მკვლელი.

ზოგს დაკოდილს ავატირებ,  
ზოგს შევიტკობ, შევიყვარებ;  
დილის ნიავს ტკბილს მოკითხვას  
შორეულთან დავაბარებ.

ჩემს შეპყრობას ვერვინ შესძლებს,  
დავაძინებ მტერს სიამით;  
აღს ვნებისას გავუღვივებ  
და ჩავაქრობ ისევ ნამით.

იმისიკ ვარ და ამისიკ,  
მაგრამ უფრო არც ერთისა;  
ხან წმინდა ვარ, ხან კი მღვრიე  
და მიმცემი ხან შეგებისა.

მას უთხარით: აღარ მიყვარს,  
გავიყინე ზამთრის შიშით;  
აწ ვიგონებ ნეტარს წარსულს  
ვაგლახით და ვაი, ვიშით.

მაგრამ კირი ვერას მავნებს,  
უპირო ვარ, ცვალებადი;  
მოდის, მოდი გაზაფხულო,  
გადმიშალე სულ სხვა ვარდი!

\* \*

სიო მოჰქრის... ცა კამკამებს...  
ტყე იღვიძებს, იფურჩქნება;  
მარგალიტის ნაზი ცვრები  
სოსანს მკერდზედ ეპკურება!

მე კი ვსდგევარ მაღალ სერზედ,  
დავსცქერ მინდორს მწვანედ გაშ-  
ლილს;

ნეტა თუ ვინ მიაყუჩებს  
მწარე ფიქრთა სევდით აშლილს?

გაზაფხული მოდის, მოჰქრის,  
სხვისთვის მოაქვს სიხარული;  
ჩემში კვნესა გაადვიდა,  
დიდხანს გულში დაფარული!

ნელი სიო, მთის ასული!..

ვის უხარის,—მიეგებოს!..

ტურფავ, შენით მკვდარმა გულმა  
ნეტარება ვით იგემოს?

\* \*

ლამე ტკბილად ნანას მიმღერს,  
მთვარე მიმზერს მიღეული;  
სძინავს ლერწამს... შესწყდა სტვენა...  
სდუმს ჯოჯოხეთს ბელზეული.

ხოლო სული, თვით არ ვიცი,  
რაზედ სწუხს და რაგრება?  
სასურველი არ აღმიხდა  
თუ სხვა მქონდა მისწრაფება?

გაზაფხულის ნელი სიო  
მომცა ფიქრი სატანჯველად;  
მსურს ვიტყრო, მსურს ვილოცო,  
მსურს გავიქრა მინდორ-ველად!  
სულს დაქანცულს შეგვერთებ  
ნაზ ბუნებას მოკაზმულსა;  
შენ თუ მომკალ, ის აღმადგენს,  
მომბერს შეგებას, სიხარულსა!

\* \*

ნელი სიო ნამსა აფრქვევს,  
ვარსკვლავები ციმციმებენ;  
მარტოკა ვართ... მაინც სტირი...  
ცრემლიწ დაწვევს გისველებენ!  
ჩვენთვის არის ცა ჩველეთი,  
ტკბილად გიმღერ—ხმას მაყოლებ;  
და ამ ჰანგსა მწარე კვნესას,  
ვერა ვფარავ, თან ვაყოლებ!

ოჰ, ეს ღამე ჩვენ გვეკუთვნის,  
ეთერის ჩანგს ავაჟღერებ;  
ნორჩ გრძობიანს, სანეტაროს  
ქებას გეტყვი და გიმღერებ!

თუ კი გვიყვარს ერთმანეთი  
დაე, გულმა სულს აამოს;  
არა! მაინც.. რაღაც გვეტანჯავს,  
სიო სტირის წყნარს საღამოს!..

ა. შანშიაშვილი.



გაზაფხულის სიმღერა, — სურათი ინოსენტისა.

### გაზაფხულია!

გაზაფხულია, საპყრობილეში  
მესმის მისი ხმა, გამიღეთ კარი!  
გაზაფხულია გული ჰგრძნოფს, მიჰხვდა,  
მესმის ბუჩქებთან მის საუბარი!  
გამიშვი ციხევე, კორდებს ჩაურბენ,  
გადვივლი მინდორს, გადვივლი მთებსა  
და როგორც ქარი თან გავიტაცებ,  
ყვავილებიდან ჩემს საყვარელსა!  
მაშინ მდევარი, თუნდ ელვაც იყოს,  
წუთს დამატკობელს ვერ დაეწიოს,  
მაშინ ჩემს მკერდზე სატრფოს ღიმილმა  
თვით გაზაფხულის ჩანგიც დაჩრდილოს!

ი. ევლოშვილი.

# გამოზაფხულდა...

\*\*

გამოზაფხულდა... ტორლოამ ჩაიკენეს-ჩაიწკრიალა,  
ზურმუხტ-ცის-ნამმა, ფოთლები, დანამა, ააბჟყერიალა,

მერცხალმა ცისა კამარა გააპო, შეისრიალა,  
და ცელქმა სიომბუჩქნარი, შეაკართო, შეაშრიალა.

გამოზაფხულდა... კორდის ძირს მოშხუის ლალად მდინარე  
ქოჩორს ივარცხნის კოკორი, იღვიძებს ვერხვი მდინარე;

ზეიმს ეწევა ბუნება, შესცინის ნამსა ფოთოლი,  
და ჩემი მუხაც ფრთასა შლის, ბანს აძლევს ჩანგი ობოლი.

ი. გრიშაშვილი.



# გაზაფხულდა?!

—:—

გაზაფხულდა! მერე მე რა?!  
სხვისთვის! ჩემთვის არა ჯერა:  
ტარტაროზის სასწორზეა  
ჩემი ქვეყნის ბედის წერა!..

მიწის მქამელთ დიდი გუნდი  
ლონლიალობს კარის-კარად  
და სამშობლო რუსთაველის  
იყიდება გროშად, ფარად!..

რამდენადაც კეკლუცია  
თინათინი სანახავად,  
იმდენადვე მწველი ცეცხლი  
გულს იგზნება თავის თავად,

როცა იგი ქაჯებსა ჰყავთ  
ცხრა კლიტულში დამწყვდეული  
და არსით ჩანს ტარიელი,  
არც ავთანდილ მისეული!..

რამდენადაც ტკბილი არის  
დედის ძუძუ და ალერსი,  
იმდენადვე ძლიერია  
გულში ბოღმა ჩანალესი,

როცა, უღვთოთ, აღმზდელ-მშობელს  
შენს თვალთა წინ ძუძუს სჭრიან  
და შეილები, ამის მკვრეტნი,  
უმოქმედოდ დასტერიან!..

ვით ვიხარო? გაზაფხულის  
ვერ შევიქენ ღირსი ხილვის:  
ნაზი გრძობა უმძიმესით  
დაიზრვის და დაიჩრდილვის!..

გაზაფხულდა? მერე მე რა?!  
სხვისთვის! ჩემთვის არა ჯერა,  
სანამ რისხვით არ იფეთქებს  
დაჩაგრულთ და მაშვრალთ კერა!..

დ. თომაშვილი.



# ყ ვ ა ვ ი ლ ი!

—:—

ველს ამწვანებულს,  
აფერადებულს,  
თავს ვეველებოდი, ვუალერსებდი,  
ქოჩორს ვვარცხნიდი,

ვრწყავდი,  
ვმარგლივდი...  
ჩემი ყვავილი,  
ნორჩი, ყრმა, ჩვილი,  
იქ იშლებოდა, იფურჩქნებოდა,  
ფოთლებში მორცხვად იღიმებოდა...

სუნსა აფრქვევდა,  
ჰხარობდა, ჰკრთოდა,  
დილის ზეფირი...  
გრძნობას უტკობდა;  
აღტაცებული,  
ეშხით აღვსილი,  
მას შევხაროდი, სიამეს ვგრძნობდი,  
ჰანგებს ვუმღერდი, სულსა ვულს  
ხენდი;

—:—

მაგრამ. დაჰქროლა, სასტიკმა ქარმა  
გულის საკლავად დაისისინა:  
ველზედ მოსტება ქორფა ყვავილი  
და ნორჩი ყლორტი ააქვითინა!..

ველს აოხრებულს,  
გავერანებულს,  
მწირს, დაობლებულს,  
უღვთოდ გაძარცულს,  
შეფჩივი, ვსტირი, ცრემლებითა  
ვრწყავ,

ღიად ბუნებას,  
ვურღვევ მშვიდობას,  
მწარე გოდებით ვგზიბლავ და ვწამ-  
ლავ!..

ს. ფაშალიშვილი.



ლოცვა, — სურათი სერენდანტ დე ბელციმისა.



# მღვივი-მგთისტი.

ოსკარ უაილდისა.

ყოველ დღე, სკოლაში რომ გაკვეთილებს ათავებდნენ,  
ბავშვები მდევის ბაღში მიდიოდნენ სათამაშოდ.

ეს იყო დიდი, მშვენიერი ბაღი. რბილი ბალახი სქლად  
ამოსულიყო. ბალახში ქრელი ყვავილები ვარსკვლავებით  
კამკამებდნენ. პატარა კორღზე ამოსულიყო ატმის თორ-  
მეტი ხე. გაზაფხულზე ისინი იმოსებოდნენ ნაზ, თეთრ, ვარ-  
დისფერ ყვავილით, შემოდგომით კი მრგვალი და გეჰრიე-  
ლი ნაყოფი მოჰქონდათ. იმათ ტოტებზე ფრინველები ბუ-  
დობდნენ და ისე ტკბილად გალობდნენ, რომ ბავშვები თა-  
მაშობას თავს ანებებდნენ და იმათ უგდებდნენ ყურს.

— რა კარგია აქა! — სიხარულით ეუბნებოდნენ ისინი ერთმანეთს.

მაგრამ აი მდევნი სახლში დაბრუნდა. მთელი შვიდი წელიწადი იყო სტუმრად თავის მეგობარ კორნ-ვალის კაცი-მქამელთან. ამ ხნის განმავლობაში იმათ სალაპარაკო მასალა შემოვლილი—რაც სათქმელი ჰქონდათ, ყველაფერი უთხრეს ერთმანეთს — და მდევმა გადასწყვიტა თავის საკუთარ კოშკში დაბრუნება. პირველი, რაც მან სახლში დაბრუნებისას დაინახა, იმის ბაღში მოთამაშე ბავშვები იყვნენ.

— აქ რას აკეთებთ? — დაუყვირა იმან საზარელის ხმით. ბავშვებს შეეშინდათ და გაიქცნენ.

— ეს ბალი ჩემია, მე მეკუთვინის, — სთქვა მდევმა: — მგონი ეს ყველას უნდა ესმოდეს და ჩემს მეტი ვერავინ გაბედავს შიგ თამაშობას.

და იმან შემოავლო ბაღს მალალი კედელი ზედწარწერით: „კერძო საკუთრების უფლების დამრღვეველნი კანონის ძალით დაისჯებიან“. მდევნი დიდი და სასტიკი ეგოისტი იყო.

ამის შემდეგ საბრალო ბავშვებს სათამაშოდ აღვილი აღარა ჰქონდათ. იმათ სინჯეს შარაზე თამაშობა, მაგრამ შარა სავსე იყო მტვრითა და წვეტიანი ქვებით და არ მოეწონათ. გაკვეთილების შემდეგ ისინი ხშირად უვლიდნენ ვარს მალალ კედელს და მშვენიერს ბაღს იგონებდნენ.

— მაშინ რა ბედნიერები ვიყავით! — ნაღვლიანად ამბობდნენ ისინი.

დადგა გაზაფხული და მთლად არე-მარე ათასფერ ყვავილებით დამშვენდა და პატარა ჩიტების ყვილ-ხივილით გაცხოველდა. მხოლოდ გულ-ძვირა მდევის ბაღში ისევ ზამთარი მეფობდა: ფრინველებს არ უნდოდა ავესოთ ის თავის სიმღერით, რადგან იქ ბავშვები არ მოსჩანდნენ, ხეები კი ვერა ჰბედავდნენ გაშლას. ერთხელ საუცხოო ყვავილმა განოჰყო ბალახიდან თავი, მაგრამ დაინახა რა სასტიკი წარწერა კედელზე, ბავშვების გამო შეურაცხყოფით აივსო, ისევ მიწაში ჩაიმალა და კვლავ დაიძინა. მდევის განკარგულების ერთად ერთ დამფასებლად თოვლი და ყინვა იყო.

— გაზაფხულმა ეს ბალი დაივიწყა, — სიხარულით ამბობდნენ ისინი: — სამაგიეროდ ჩვენ აქ მთელს წელს ვიცხოვრებთ.

თოვლმა თავის თეთრი ზეწარით დაჰფარა მთლად ბალახი, ყინვამ ვერცხლის ფერ რთვილით მორათო ხეები. იმათ სტუმრად მოიწვიეს ჩრდილოეთის ქარი და იმანაც მოსვლა არ დააგვიანა: მთელი დღე უბერავდა ბაღში, საზარლად ზუზუნებდა და ღმუროდა და სახლის სახურავსა შლიდა.

— მშვენიერი ადგილია, — სთქვა იმან: — სეტყვაც მოიწვივით.

მოვიდა სეტყვაც. ყოველ დღე სამი საათის განმავლობაში უბრაზუნებდა ის სახლის სახურავს, სანამ თითქმის თვითული კრამიტი არ ჩაამტვრია; შემდეგ მთელი თავის სისწრაფით უვლიდა ბაღს გარს. იმას ნაცრისფერად ეცვა და მისი სულთქმა ყინულივით ცივი იყო.

— ვერ გამიგია, გაზაფხულმა ასე რად დაიგვიანა, — ამბობდა ეგოისტი-მდევნი, იჯდა ფანჯარასთან და გასცქეროდა თავის მთლად გაყინულ-გათეთრებულს ბაღს: — იმედია, ჩქარა გამოიდარებს.

მაგრამ არც გაზაფხულიც არც ზაფხული არ მოდიოდა. შემოდგომამ ყველგან მოიტანა ოქროსფერი ნაყოფი მდევის ბაღის გარდა.

— ის მეტის მეტი ეგოისტია, — სთქვა მან.

და ასე, იქ სულ ზამთარი იდგა და ჩრდილოეთის ქარი, სეტყვა და ყინვა ფერხულს აბამდნენ.

ერთს დილას ის იყო მდევს გაეღვიძა და ჯერ ისევ ლოგინში იწვა, რომ უცბად შეესმა რაღაც მშვენიერი მუსიკა. ის ისე ტკბილად უაღერსებდა მისს სმენას „ალბად მეფის მემუსიკენი ახლოს მიდიან“, — იფიქრა იმან. ნამდვილად კი ეს იყო პატარა ჰვინტა, რომელიც იმის ფანჯრის ახლო ჰკვიკვებდა, მაგრამ მდევს იმდენი ხანი არ გაეგონა თავისს ბაღში ფრინველის ჰკვიკვი, რომ ჰვინტას ხმა იმას საუკეთესო მუსიკად შეესმა. პატარა ხანს შემდეგ სეტყვამ მდევის თავზე ცვეკვა და ქარმა თავისი ღმუილი გაათავეს. ღია ფანჯრიდან იმან ნაზი სურნელება იგრძნო.

— მგონი, ეხლა კი გაზაფხული დადგა, — სთქვა მდევმა, ტახტიდგან წამოხტა და ფანჯარაში გაიხედა.

და რა დაინახა?

მშვენიერი სურათი წარმოუდგა თვალწინ. კედლის ერთ გამოუნგრეულიდან ბავშვები შესულიყვნენ ბაღში და ეხლა ისინი ხეებზე ისხდნენ. ყოველ ხეზე თითო პატარა არსება იჯდა. ხეებს გაუხარდათ ძალიან ბავშვების დაბრუნება, თვალის დახამხამებაზე ყვავილებით შეიმოსნენ და მხიარულად არხევდნენ თავისს ტოტებს პატარა სტუმრების თავებზე. ფრინველები მხიარულად დაფრინავდნენ და აღტაცებულად ჰკვიკვობდნენ. ყვავილები ბალახიდან აღერსიანად ილიმებოდნენ. საუცხოო სანახავი იყო. მხოლოდ ერთს კუთხეში კიდევ ზამთარი იდგა. ეს იყო ბაღის უფრო მოშორებული ადგილი. იქ იდგა პატა ბავშვი, ტოტებს ვერა სწვდებოდა, მწარედ სტიროდა და აქეთ-იქით იცქირებოდა. საბრალო ხეც ისევ რთვილითა და თოვლით იყო შემოსილი, და ქარი მისს თავზედ კვლავ საზარლად ღმუროდა.

— ამოფოფხდი, ბავშვო! — ეუბნებოდა ხე და დაბლა, მისკენ, ხრიდა თავისს ტოტებს. მაგრამ ბავშვი მეტის-მეტად პატარა იყო.

დევის გული უცბად მოლბა.

— რა ეგოისტი ვიყავი! — სთქვა მან: — ეხლა მესამის, თუ გაზაფხულმა ჩემი ბალი რად დაივიწყა. მე შევსვამ ამ პატარა ბავშვს ხის წვეროზედ, მე დავაქცევ კედელს და ჩემი ბალი სამუდამოდ ბავშვების ბინად განდგება.

ის მართლაც ნანობდა. ჩუმად ჩამოვიდა კიბეზედ, გაალო კარი და ბაღში გავიდა. ბავშვებს შეეშინდათ იმისი დანახვა და გაიქცნენ. ბაღმა კვლავ ძველებური დაღვრემილი სახემიილო. მხოლოდ პატარა ბავშვი დარჩა თავისს ადგილზე: თვალეები ცრემლით ჰქონდა სავსე და მიმავალი მდევნი ვერ შეამჩნია. მდევნი კი ჩუმად მიეპარა, ფრთხილად აიყვანა ხელში და ხეზე შესვა. ხე უცბად გაიშალა, ფრინველები ჰკვიკვიით მიფრინდნენ მასთან. ბავშვმა გაიწოდა თავისი პაწაწა ხელები, მოხვია მდევს კისერზე და აკოცა. სხვა ბავშვებმაც დაინახეს, მდევნი აღარა ჯავრობდა, მოირობინეს უკანვე, და მათთან ერთად გაზაფხულიც დაბრუნდა.

— ეხლა ეს ბალი თქვენია, ბავშვებო! — უთხრა მდევმა; აილო წერაქვი და კედელი დაანგრია. შუადღისას სავაქროდ მიმავალი ხალხი ხედავდა, მდევნი როგორ თამაშობდა ბავშვებთან ამ უმშვენიერესს ბაღში.

მთელი დღე ითამაშეს ბავშვებმა და საღამოთი მდევთან გამოსამშვიდობებლად მივიდნენ.

— თქვენი პატარა ამხანაგი რაღა იქმნა? — ჰკითხა მათ მღევმა: — მე რომ ხეზე შევესვი ის ბავშვი? — იმ კოცნისთვის მღევმა ის ყველაზე მეტად შეიყვარა.

— არ ვიცი, — უპასუხეს ბავშვებმა: — წავიდა.

— უთხარით, ნუ ეშინიან და ხვალ აქ მოვიდეს, — უთხრა მღევმა.

მაგრამ ბავშვებმა უპასუხეს, რომ არ იციან, სადა სცხოვრობს და წინადაც არსად არ უნახავთ. მღევი ძალიან დაღონდა.

ყოველ დღე გაკვეთილების შემდეგ ბავშვები მიდიოდნენ მღევთან სათამაშოდ. მხოლოდ პატარა ბავშვი, რომელიც მღევს ისე შეუყვარდა, აღარა სჩანდა. მღევი ყველა ბავშვებს კეთილად და ტკბილად ექცეოდა, მაგრამ თავის პირველ პატარა მეგობრის უნახაობას ძალიანა ნაღვლობდა, და ხშირად იგონებდა და ამბობდა:

— ნეტავი ერთი კიდეც მაჩვენა ის ბავშვიო.

გავიდნენ წელნი. მღევი მოხუცდა და მოუძღურდა. თამაშობა აღარ შეეძლო, მაგრამ მაინც ყოველთვის ვეებერთელა სავარძელში იჯდა, უყურებდა, ბავშვები როგორ მხიარულად თამაშობდნენ და თავის ბალის ცქერით სტკებობდა.

— ბევრი მშვენიერი ყვავილი მიდგია, — ამბობდა ის: — მაგრამ ბავშვები ყველა იმათზე მშვენიერები არიან.

ერთს ზამთრის დილას, ტანთ რომ ჩაიცვა, გაიხედა თავის ფანჯრიდან.

ეხლა ზამთარი ისე აღარა სძულდა: იცოდა, რომ ეს მხოლოდ გაზაფხულის ძილია და ყვავილები მხოლოდ ისვენებენ.

უცბად გაკვირვებულმა თვალები ღრმად გახედა და დიდი ერთს მოშორებულ კუთხეში მთლად ნახი თეთრი ყვავილებით დაფენილი ხე იდგა. იმის ოქროსფერი ტოტებიდან ვერცხლებრივი ნაყოფი გამოიყურებოდა, ხოლო იმის ქვეშ იდგა ის პატარა ბავშვი, რომელიც მღევს ისე უყვარდა.

მთლად სიხარულით აღტაცებული მღევი გამოვარდა გარედ და ბავშვთან მივიდა. მიუახლოვდა რა მას, მღევი მთლად წამოწითლდა სიბრაზით:

— ვინ გაჰბედა შენი დაქრა?

ბავშვს ხელის გულზე ლურსმისგან იარა ემჩნეოდა. ასეთივე ქრილობა ჰქონდა ფეხებზედაც.

— ვინ გაჰბედა შენი დაქრა? — ყვიროდა მღევი: — მითხარი, ავიღებ ჩემს დიდს ხმალს და სულ ლუკმა-ლუკმა ვაქცევ შენს დამკრეფს.

— არა! — უპასუხა ბავშვმა: — იმიტომ რომ ეს სიყვარულის ქრილობებია.


— ვინ ხარ? — ჰკითხა მღევმა; საუცხოვო, არა ჩვეულებრივმა მოწიწებამ მოიცვა მთლად მისი არსება, და ბავშვის წინ მუხლები მოიხარა.

ბავშვმა მღევს გაუღიმა და უთხრა:

— შენ ერთხელ ნება მომეცი შენს ბაღში მეთამაშნა, დღეს კი წავიყვან, ჩემს ბაღში, რომელსაც სამოთხე ჰქვია.

იმ დღეს მოსულმა ბავშვებმა აყვავებულ ხის ქვეშ ნახეს მიცვალეზული მღევი.

გ. ნამორაძე.




1905 წელს.

1910 წელს.

სათოკი რედაქტორი. ჩემი საქმე ეხლა აღჩუს არის: მეც კარგად გავეძებ და ცოტა რამ ვლ. ვლიავას, ნორდს, ნ. აზიანს, მიმინოს და სხვებსაც მიუგდე! (მღერის:)

იმ წყევულში მოძრაობამ ძიმწარე დამალევიანა, „მკვდრები“ აღარ შემარჩინა, მთლად სული დამალევიანა... დალოცვილმა რეაქციამ სული მომბრუნებინა, გაზეთი „მკვდრები“ გამიგესო, ჯიბე გამასქელებინა!



რედაქტორი. ძალიან ცუდი დრო დადგა: თითქოს მეც გოთუასავით სხვა და სხვა გაზეთიდან ვჭრი მასალას და ვაკოწიწებ ჩემს გაზეთს, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა: იმისი გაზეთი წინ მიდის, ჩემი კი უკან-უკან იწევის. მაგრამ ეჰ, ჩემზეა სწორედ ნათქვამი:

აფსუს კოხტა ახალგაზრდაც, რომ ჰკრეფ გაზეთის ქორებსა: უნდა იჯდე კნიაზეში, უწრუწუნებდე ქორებსა!..